№ 224 ოქტომბერი 21, კვირა 1890 ოქტომბერი 21, კვირა № 224

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ყუკიაში, აფხაზის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1890

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 ოქტომბერს

## ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

ქუთაისის ბანკის საქმე.

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.

(5—5)

## ქართული თეატრი

კვირას, 21 ოქტომბერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

ორი მამა

ისტორ. დრამა 4 მოქმედ. და 6 სურათად კ. ყიფიანისა.

პირველი დებიუტი ბ-ნ რეხვიაშვილისა.

მოთამაშენი: ქ-ნი ავალიშვილისა, გერსევანიძისა, ტატიევისა, ტარიელოვისა: ბ-ნნი სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, რეხვიაშვ., იოსებიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

მაქვს პატივი ვაუწყო ქ. სიღნაღისა და მის მაზრის საზოგადოებას, რომ სიღნაღში ბ-ნ მუსულოვის სახლებში კლუბის ქვეშ, გავხსენი ყოველ გვარ ფეხსაცმელის ქარხანა. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ზემოხსენებულს ქარხანაში საქმის მწარმოებელს. საქმის პირნათლად შესრულებაზედ ქარხანა პირობით ეკვრის მსურველთ.

საქმის მწარმოებელნი { ა. მაჭავარიანი ი. ნ.

დღეს, 21-ს ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, ნებართვითა და ლოცვა-კურთხევითა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსის, მთავარ ეპისკოპოზის პალლადისათა, სინოდალნი კანტორის წევრი არხიმანდრიტი ნიკოლოზი—კუკიის სასაფლაოზედ აღასრულებს წესს სამრევლოის კურთხევისას ახალის ეკკლესიის, რომელიც უნდა აგებულ იქმნას წმ. მოციქულთა სწორის ნინა ქართველთ-განმანათლებლის სახელსა ზედა. (1—1)

## დასაწყისი განახლებისა

რამდენისამე საზოგადო აზრისთვის ნუ გამკიცხავთ და თვით საგანსაც მოგახსენებთ.

თვითმცნობელობა როგორც თვითოეულის ადამიანის ცხოვრებაში, აგრეთვე მთელის ერისაში დიდ ისტორიულ ნაბიჯის გადადგმად მიაჩნიათ განათლებულს საზოგადოებაში. როდესაც ჩემის თავის ამბავს გონებით ვაკვირდები და ჩემის ავისა და კარგის გაგება მინდა, ეს ახალი ხანაა, ახალი წამია ჩემის ცხოვრებისა და წინ ნაბიჯის გადადგმის იმედი მაშინ იწყება. შეუძლებელია ამ ახალი ნაბიჯის გადადგმამდე კარგა ხანი მრავალს განსჯას, მოფიქრებას, წვალებას, ტანჯვასა და ცრემლს მოვანდომო, მაგრამ ფეხის წინ გადასადგმელად ბუნებას თითქოს ეს წესი გაუჩენია. დეე ყველა მსჯელმა კაცმა მოიგონოს თავისი ჭაბუკობის ის დრო, როდესაც გონება უფხიზლდებოდა და ცხოვრების აზრის გამორკვევაში იყო. რა სატანჯველი და გულის ტკივილი გამოუვლია სანამ ცხოვრების საკანს გამოიკვლევდა, თავის თავს იცნობდა და თავის იდეალებს შეიმუშავებდა. ვისაც თავის სიცოცხლეში ერთხელ, ჭაბუკობის დროს მაინც ეს მტანჯველი წამი არ გამოუვლია, ვერ ჩაითვლება მსჯელ კაცად. და ქვეყანაზე სანამ კაცთა შორის სიმართლესთან უსამართლობა ტრიალებს, სანამ კეთილთან ბოროტიც იპოვება, სანამ ჭეშმარიტებასთან სიცრუესაც ადგილი უჭირავს, სიყვარულთან მტრობას, მკვიდრთან გაცვეთილსა, მცოდინარობასთან—უმცოდინარობასა,—სანამ ასეა, თვითმცნობელობის მუშაობაში ყოველმა კაცმა ბევრი ამაო სატანჯველი უნდა გამოიაროს, რომ დაადგეს მკვიდრს გზასა და მაზედ მუშაობასა. ადამიანს ამისთანა წამი რამდენჯერმე შეხვდება და უმეტეს ნაწილს სიჭაბუკეში.

რაც აქ თითოეულს ადამიანზედა ვთქვით, საზოგადოებისა და მთელის ერის ცხოვრებაშიაც ხდება. ყოველს კაცთა საზოგადოებასა და ერსაც შეხვდება ისეთი წამი, როდესაც უნდა გამოიკვლიოს და გამოარკვიოს ავი და კარგი თავისის ცხოვრების რომელისამე მხრისა და შემდეგ შეუდგეს გამორკვეულს გზაზე სიარულს.

მკითხველთან ბოდიში უნდა მოვიხადოთ, რომ ასე შორიდამ მოგვიხდა საზოგადო აზრების გამოწყობა, მაგრამ რას იზამ რომ უამისობა ვერ აგვიხსნის სათქმელს. ამ საუკუნეში ჩვენი ეხლანდელი დრო შესანიშნავი წამია ჩვენის ერის ცხოვრებაში. როდესაც დაკვირვებით ჩავხედავთ ჩვენის ერის თვალად მოჩვენებულს მყუდრო ყოფას, დავინახავთ, რომ რაღაცა დიდი მუშაობა სწარმოებს და გონებით ყოფა-ცხოვრებისათვის. შეიხედეთ სოფლებში და თვალი ადევნეთ, რა დუღილია ამ შრომისათვის! თუ გონების თვალი გიჭრისთ, ბატონყმობის გადავარდნას შემდეგ არ შეიძლება არ შენიშნოთ ეს მოვლენა, თუმცა შრომა არ დაგვეხატება უხვარ მაზარის სახით. თქვენ გამჭრიახობასა და გონების სიფრთხილეზედ დამოკიდებული გაარჩიოთ მუდამ დღიურს, წვრილმანს, პატარ-პატარა საქმეში და მოქმედებაში ის მიმართულება, რომელიც თავს იჩენს.

მაგრამ, რას ვამბობ? ბრმაც-კი დაინახავს, რაც სოფელში ხდება. შეხედეთ რა შეძენის ხალისია ატეხილი გლეხ-კაცობაში, რა სიხარბით და სიჩქარით ეტანებიან მამულების შეძენას, რა გულ-მოდგინებით შესდგომიან სახლ-კარის შენებასა და მოწყობას, [illegible] დაყენებას, შვილების გამოზრდას.

სოფლების საზოგადო საქმისათვის საყვედური გვესმის, მაგრამ აბა დააკვირდით, და ნახავთ, რომ იქ სწორედ გონებითი შრომა თან-და-თან ილევიძებს და იზრდება: გზების კეთება, სკოლების დაფუძნება, სასკოლო სახლების აშენება, ახალ ეკკლესიების აგება ან ძველების განახლება, წყაროების გამოყვანა, ხიდების გადება, ერთის სიტყვით მუშაობა და ზრუნვა სოფლის საზოგადო დაწესებულებათათვის. თქვენ გაგაკვირვებთ, როდესაც ხედავთ ხეობაში მშვენიერს საურმე გზას, რომელიც თვითონ სოფელს გაუყვანია, ან და ახლა მზადებაშია მის გამოყვანისათვის, აქ მშვენიერი თლილის ქვით აშენებული წყარო გულს გიხარებს; იქ მაღლობზე თლილის ქვისავე მშვენიერი უშველებელი ეკკლესია [illegible] ცებს, რომ გლეხ-კაცობას არ გასჭირებია ამისთანა შენობის აგება, რომლისთანაც ქალაქებსაც შეშურდებათ და რომლისთანაც ადრე მეფეებს თუ აუგიათ სახელმწიფო ხაზინის შემწეობითა.

ეს საიმედო და გულ-სალხენი სურათი გეხატება, როდესაც ჩვენს სოფელსა და ჩვენს ერს უყურებ. მართალია ნივთიერსა და გონებით წარმატებასთან ზნეობითი მხარე კოჭლობს, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ეს მხარე გარეშე გამრყვნელ მიზეზების ბრალია და ამაზე ჩვენ ენა უნდა მოვიკვნიტოთ.

ხალხის ამ გვარ მოძრაობის ამბავი ძალიან იშვიათად მოსდის ჩვენს ქუნრალ-გაზეთობას, ეტყობა, რომ ამ მხარეს მეთვალ-ყურე არა ჰყავს. რაც-კი ხანდახან იბეჭდება მკრალი გამოსახვაა სოფლის მოძრაობისა. რაც [illegible] და რაც ფუჭდება იმაზე, ხშირია. ამას საყვედურად-კი არ ვამბობთ; მხოლოდ...

# ფელეტონი

## დასავლეთის ცხოვრებისა და ლიტერატურის შესახები.

### I

თუმცა სახელოვანი ისტორიკოსი და კრიტიკოსი საფრანგეთისა იპოლიტე ტენი ცდილობს დაამტკიცოს, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში კაცი ვერ შეამჩნევს იმ იდეასა და დედა აზრებს, რომელიც ბატონობს რომელსამე ერსა და საზოგადოებაშიო, მაგრამ მაინც ლიტერატურაში ყოველს დროსა და ხანას ცოტად თუ ბევრად თავისი განსაკუთრებული ხასიათი ჰქონია. ბაირონამდე ბატონობდა ლიტერატურაში კლასიციზმი, ბაირონს შემდეგ რომანტიზმი. თითოეულს ამ მიმართულებას თავისი ნატვრა-სურვილი ჰქონდა და უმთავრესნი მოღვაწენი ლიტერატურისა ეტანებოდნენ რომელსამე ყველასთვის ცნობილს საგანს. დრო კლასიციზმისა და რომანტიზმისა, როგორც ვიცით, მდიდარი იყო შესანიშნავის, გენიალურის ნაწერებით, მაგრამ 70 და 80 წლის რეალისტები მაინც დიდის უგულობითა და უყურადღებობით ლაპარაკობდნენ იმათ შესახებ, რადგანაც ჩვენის აზრით წინანდელ ორივ მიმართულების ნატვრა-სურვილი აღარ შეესაბამება მეცნიერების ახალს ნაღვაწსა და ნასიბრძნსაო. აღარც შექსპირსა და აღარც გიოტეს აღარ შეუძლიანთ გვიმოძღვრონ ახლა, იმიტომ რომ დარვინმა სულ სხვა გზა გაგვიკვალაო! ასე ლაპარაკობდნენ 70 წლის რეალისტები. და აი ამ დროს გამოჩნდა ზოლა და შემოიღო ნატურალიზმი, რომელმაც უარ-ჰყო ყოველ-გვარი ნატვრა-სურვილი, ანუ იდეალები. ნატურალიზმი მოჰყვა და იმის მეტს არას აკეთებდა, რომ თვით ცხოვრებას გვიხატავდა და სხვა დარდი არა აწუხებდა-რა. ნატურალიზმმა შემუსრა და ძირს დაამხო ძველნი კერპნი, თვით იოლად გამოვიდა უიდეალებოდ და ცალიერ, მხოლოდ გარეგნობით გატაცებულ მწერლობად გადაიქცა, ამ სახით ლიტერატურას ისეთი დრო დაუდგა, რომელიც საზნეობო მოძღვრებათათვის სრულიად არაფერს არა ნაღვლობდა და არც თვით მწერლობამ იცოდა, საით უნდა წაუძღვე კაცობრიობასაო. რაკი ასეთს ამბავსა ჰხედავდა ტენი, რასაკვირველია სიმართლე ჰქონდა ეთქვა, მწერლობაში არა სჩანს ის უმთავრესი დედა-აზრნი და იდეალები, რომელიც უნდა ხელმძღვანელობას უწევდეს ქვეყანასა და საზოგადოებასაო. იმისი გაგება და ცოდნა, თუ საით უნდა ჰქონდეს პირი კაცობრიობას, თითო-ოროლა პოეტსა და კრიტიკოსს თუ აქვსო. თითქმის ოცის წლის განმავლობაში ყველა მეთაურნი რეალიზმისა წარსულის უარ-ყოფაში იყვნენ და თავიანთ დროების ცხოვრებასაც მხოლოდ ოდნავ იკვლევდნენ. მკითხველი საზოგადოება დიდხანს სჯერდებოდა იმათ ნაწერებსა და მით თვითონაც ჰშველოდა ამ ჯურის მწერლებს ფეხ ქვეშ ეძლნათ ის აზრები და იდეალები, რომელიც წინად სწამდათ. ეს დრო დღეს უკვე წავიდა; ეხლა გვიან-ღაა ლაპარაკი ნატურალიზმის შესახებ, თვით ზოლამ თავისი დრო უკვე მოჭამა და წარსულს დროს ეკუთვნის. იმის თეორიას მოჰყვა შედეგად დეკადენტების დასი მწერლებისა, ესე იგი ის დასი, რომლის მწერალნიც თავქვე მიდიან, ძირ-დამავალნი არიან. ამათს ნაწერებში კაცს დასუსტებული აქვს ყველა საღი და ბუნებრივი გრძნობანი; ადამიანი ეტანება ისეთ რასმეს, რაც გრძნობას მეტის მეტად აუშლის და რაც სასიამოვნოა მხოლოდ იმისთანასთვის, ვისაც მოშლილი აქვს ნერვები. ასეთები არიან ის ნაბოლარა კაცნი, რომელნიც უკანასკნელად ეთხოვებიან ჩვენს საუკუნესა და რომელთაც დღეს პარიჟში „tins de siécle“-ს ეძახიან. ზოლასა და მის მომხრეთა ნატურალიზმს ასეთი ნაწერები მოჰყვა თავ-თავქვე მიმავალთა ანუ ძირს დამავალთა (L'école décabehte). ამ ორ მიმართულებათა შორის სდგას პოლ ბურჟე, რომელმაც, მართალი რომ ვსთქვათ, ახალი მიმართულება-კი ვერ შემოიღო, მაგრამ ისეთს შინაარსს-კი მიაქცია ყურადღება, რომელიც უფრო საინტერესო უნდა იყოს ჩვენის საუკუნის ზემოხსენებულ ნაბოლარა კაცთა უმრავლესობისათვის. ეს შინაარსია სიყვარული, ხოლო ჩვეულებრივი სიყვარული-კი არა, სხვა ნაირი, არა-ჩვეულებრივი. ეს სიყვარული ორად გაყოფილია, ორ-პირია, ორ-მოგვი. აი, ვსთქვათ, ანს უყვარს ქალი ბანი, მხოლოდ სულიერად-კი, რადგანაც, ბანს არ შეუძლიან მოუკლას ანს წყურვილი ხორციელის სიყვარულისა. ამიტომ ანი იძულებულია მოსძებნოს სხვა დედაკაცი, ვსთქვათ თუნდა განი, რომელიც ეყვარება ხორციელის სიყვარულით. შეიძლება სხვანაირადაც მოხდეს: კაცს ერთი დედაკაცი უყვარდეს ხორციელის სიყვარულითა და ჰგრძნობდეს საჭიროებას მეორე დედაკაცის სულიერად სიყვარულისას და როდესაც ორს დედაკაცს ეყვარება ერთი მამა-კაცი ერთს სულიერად, ხოლო მეორეს ხორციელად და მამაკაცსაც ასევე ეყვარება ორივენი, მაშინ ყოველივე ჩვეულებრივ მიმდინარეობს იმათს ცხოვრებაში. მოთხრობის მასალად-კი ამისთანა ცხოვრება, რასაკვირველია, არ გამოდგება, რადგან წინააღმდეგობა არ არის გულის-თქმათა შორის. მაშასადამე საჭიროა, რომ მამაკაცს, ანუ ერთ-ერთს დედაკაცს იმედი გაუმტყუნდეს, რასაც ეძებდა, ის ვერ ჰპოვოს და ამ სახით გაჩნდეს ღელვა გულისა და წინააღმდეგობა გრძნობათა. აი მაშინ გამოვა საინტერესო რომანიო! ასეთის სიყვარულის ამბავსა ვკითხუ-

ლოდ ორივე უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რომ გამოიწვიოს მისი მოსაზრება მაინც, თუ დახმარება არა.

დავუბრუნდეთ ჩვენს აღნიშნულს აზრს თვით მცნობელობის თაობაზე.

თქვენ მკითხავთ: სად არის აქ თვით-მცნობელობის აზრიო? რაში ჩანს რომ ჩვენმა ერმა თავი იცნაო? რა მიმართულებაში იხატება თვით მცნობელობაო?

მოიგონეთ, ამ ოცი, ოც-და-ხუთის წლის წინად რა რიგად მიღოღავდა ჩვენებური სოფლის ცხოვრება; რა სახით იყო მოდუნებული და მიყუჩებული!.. სულ სხვის იმედით, სხვის ცქერით ელალოდა თვალი, აქეთ-იქით იხედებოდა, აბა, რა წყალობა მომევლინება და გზას ვინ მასწავლისო. აბა მოიგონეთ ის დრო. მაშინ ხალხი რაღაცა ლანდებში იყო, რაღაცაზედ სული ულონდებოდა, ფიქრებში იყო ჩაფლული და ჯერ ვერ გამორკვეულიყო. დღეს გამოერკვია და თავის თავს უთხრა: შენ სხვის ცქერა აღარას გარგებს, სხვის წყალობას ნუ მოელი, შენი იმედი შენი გარჯააო. ეს თვითშემწეობის აზრი განა შეიძლება თვითმცნობელობად არ იავთვალოსო?

გონებითი მოძრაობა ყოველი ერისა გამოისახება ხოლმე ხალხის ნაწილში, რომელსაც ჩვენ საზოგადოებას ვუწოდებთ. მართალია მოხდება ის შემთხვევა, რომ მოძრაობა საზოგადოებისა თვით ერის მოძრაობის სუსტი გამომთქმელი იყოს, მაგრამ მაინცა და მაინც გამომთქმელია. ჩვენი საზოგადოება თავად აზნაურთა, სამღვდელოთა წოდების ის ნაწილია, რომელიც სწავლა-განათლებით დაწინაურებულა თავის წოდებაში და ქვეყნის მზრუნველობაში რაიმე წილი უდევს. დავაკვირდეთ ამ ჩვენის საზოგადოების ცხოვრებას, თუ არ ენახოთ, რომ მასში, როგორც ხალხის ნაწილში, დაიწყო მოძრაობა.

საქართველოში საზოგადო დაწესებულებათა დაფუძნება თუ ნივთიერისა და თუ სულიერის მხრის წინწაწევისათვის გამოითქვა თავად-აზნაურთა ბანკების გაათოთვით, სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა და სასოფლო დეპოების დაარსებით, სასულიერო და სასოფლო სასწავლებელთა დაფუძნებით სამღვდელოთაგან, სხვა-და-სხვა საზოგადოებათა, ამხანაგობათა და წრეთა შედგენით, როგორც: წერა-კითხვისა, დრამატიულისა, თავად-აზნაურთა შეილების შემწევნელისა, წიგნების გამოცემისა, სასულიერო საკითხავ კაბინეტისა, თეატრის დასებისა, მომღერალ და მგალობელ ხოროებისა, სასოფლო წიგნთ საკითხავებისა, წიგნის მაღაზიებისა და სხვა ამ გვარისა. ყველა ეს ქართველ საზოგადოების დაწესებულებანი მართალია ისე ვერ იჩენდნენ და ვერ იჩენენ, ზოგიერთს გარდა, ძლიერს მოქმედებას, როგორიც შეჰფერის თვით ერის მოძრაობას, მართალია სუსტია მისი მოსაქმეობა, მაგრამ ამას ბევრი მიზეზები აქვს, როგორც ისტორიული, აგრეთვე დროებითი; მაგალითად მათ შორის ერთი შესანიშნავი მიზეზი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებას აკლია ესრედ ცნობილი შუა წოდება, ანუ ჩვენებურად რო ვთქვათ ვაჭარ-მრეწველთა, მოქალაქეთა წოდება, რომელსაც ყველა ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში დიდი ღვაწლი შეუტანია და ჩვენს საუკუნეში დაწინაურებულს ქვეყნებში დღეს მბრძანებელია ერის ეკონომიურისა და სულიერის ცხოვრების ტრიალისა.

მაინც და მაინც თუმცა სუსტია, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას დაეტყო ახალი მოძრაობა და ამას თავისი ფერი აქვს, თავისებურობა ეტყობა. ნუ თუ ამ საკუთარ ფერში, თავისებურობაში არ იხატება თვითმცნობელობა და განახლების დასაწყისი?

მწერლობა სარკეაო ერის ცხოვრებისა. ჩვენს მწერლობაში მეტადრე პოეზიაში გამოისახა ეს განახლების აზრი. ხანგრძლივი იყო ის ხანა, როდესაც მწუხარების კვნესა და ჩივილი გვესმოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სიმღერებში, ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და ვახტანგ ორბელიანის ლექსებში. დანაკარგისა გამო მგლოვარეობა ისე ძლიერი იყო, რომ ჯერ დღესაც პოეზია ვერ განთავისუფლებულა უფრო ფხიზელისა და ახალის ხმის გამოსაცემად. რასაკვირველია, დანაკარგის დავიწყება არ შეიძლება, მაგრამ ნაღველს რომ თავი მისცეს, ცოცხალს კაცსა და ერს არ შეუძლია და ხალხი კვლავ სიცოცხლის მწყურვალეა. კარგად არის ნათქვამი ერთის ახალის დროის მწერლისაგან:

მას ნუღარ ვტირით, რაც დაკარგულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა.
ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მეობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

იმ დღიდამ იწყება განახლების სურეილი და ჩვენს პოეზიას ფერი ეცვლება იგი დაჰყურებს მოძრავს ცოცხალს მუშაკსა, და დამღერის გულგასაკეთებელის ხმით სოფლის მამითადს, რომელიც შეკრებილა ქრისტეს ოხრის თინიას საშველად:

დილა ადრიან მოადგნენ კარზე რჩეული ბაჭვები.
ჭოლოპუნათი, კიჟინით მოუდგნენ ქვრივის ყანასა,—
არ შავხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა.

პოეტმა მართლა დაგვიხატა ამ ლექსით ჩვენი გამოფხიზლების წამი, ხანგრძლივს გლოვას შემდეგ და გვახარებს, რომ ამისთანა მამითადს არ შავხვედრივარო. მეორე პოეტი, პოეტი გლოვისა და ჰმუნვისაც-კი ერთს სანახავს შემდეგ ოცნებას ეძლევა და ასეთს სურათს ჰხატავს:

მაგარ სადგურნი და პალატნი, წმიდა ტაძარნი
თვის ნანგრევთაგან დიდებულად იყვნენ ამდგარნი;
მხიარული ხმა წერაქვ-ბართა, საღმრთო ხმა ზართა
მაღლა შესძახდა განღვიძებულთ მთათა და ბართა!

მართალია ზოგჯერ მოისმოდა ხმა, თითქოს ჩვენი ხალხი მკვდარიაო და მის პასუხად მეორე ხმაც გაისმოდა:

არ მომკვდარა, ჯერეთ სძინავს;

მაგრამ პოეტებს ხანდახან ცხოვრება წინ მიურბით და ამისი ბრალია, რომ ოცნებაში ყოფნის დროს გამოღვიძებულს მოძრაობას ველარა ჰხედავენ და ერი კიდევ ან მკვდარი და ან მძინარე ჰგონიათ. ახლა წავიდა ეს ხანა და ფხიზლად ხალხის ცხოვრების მაყურებელთაგან გვესმის გულ-მაგრად გამოცემული ხმა, ერის მარჯვენითა და შრომით ალტაცებული:

არწივთა მაღლის მთისათა
რად უნდა ნეტავ მქებარი!

გავათაოთ მწერლობაშიაც გამოთქმულს მიმართულებაზე საუბარი და შევდგეთ ამ კითხვაზე:

ნუ თუ ეს ყველა არ აღნიშნავს ჩვენის განახლების დასაწყისს, ჩვენის თვით-მცნობელობის მიმართულების აღმოჩენას?

ამ მცირე წერილში ჩვენა გვსურს დავანახვოთ, როგორა სცდებიან მცირედ მორწმუნენი და ყველაფერზე გულ-აცრუებულნი, როდესაც ჩვენს საქმეებზე ლაპარაკობენ და უიმედობით თითონაც გაქვავებულან და თავის გარშემოსაკ უსაქმურობისა და უზრუნველობის გამხრწნელს გულ-გრილობასა ჰფენენ.

ჩვენი ინტელიგენცია მის ნაცვლად რომ გამოფხიზლებისა და განახლების დროს ერის მუშაკად და მზრუნველად შეიქმნეს, შორს გასდგომია, გულ-ხელი დაუკრეფია და არასა ფიქრობს საზოგადო მოძრაობაში მონაწილე შეიქმნეს. საზოგადოების მოთავე ყველგან და ყოველთვის ინტელიგენციაა და მისი უზრუნველობა, გულ-გრილობა, აპატია მიზეზი უნდა შეიქმნას საზოგადოების უსაქმურობისა და მაშასადამე უნდა შეიქმნეს მთელის ერის მუშაობისა და წინ-მსვლელობის დამაბრკოლებელი.

შორს ჩვენგან გულ-გრილობა, შორს ჩვენგან უსაქმურობა! დროა ინტელიგენცია მიხვდეს, რომ მისი მოვალეობაა განახლების ჟამს ერს წინ უძღოდეს და არა უკან მისდევდეს ჩანჩალითა.

ზ.

## ახალი ამბავი

*** ამიერ-კავკასიის რკინის-გზის მმართველობამ ოც-და თერამეტი ათასი მანათი გადიხადა რკინის-გზის განჯის სადგურზედ ახალის ლიანდაგების გასაკეთებლად და სადგურ „ბათუმის“ ნავთსადგურისა და „ბათუმის საქონლის“ სადგურების ახალის ლიანდაგით შასაერთებლად.

*** ამ თთვის 19, საღამოს ათს საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სადგურს ტაუზს ახლოს ექვსმა ავაზაკმა თოფები ესროლა საქონლის მატარებელ მე-53 №-ის მემაშინეს, მაგრამ არც ერთი ტყვია არ მოხვედრია.

*** წლიური აქტი პირველ კლასიკურის გიმნაზიისა დანიშნულია 4 ნოემბრისთვის.

*** ამბობენ რომ არჩევანები პირველისა და მეორე რიგის ტფილისის საბჭოს ხმოსნებისა დანიშნულია თვით საბჭოს დარბაზშიო, ხოლო მესამე რიგისა—ტფილისის კლუბშიო.

*** ბ-ნი ან. ფურცელაძე, რომელიც ამას წინად ხანჯლით იქმნა დაჭრილი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, ამ ჟამად კარგად იმყოფება, ჭრილობანი სრულიად მოურჩა და დღეს უკვე გამოვიდა ტფილისის საქალაქო სამკურნალოდამ.

*** ამ ბოლოს დროს მრავალი საჩივარია შეტანილი ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობაზე და ჯარიმას ითხოვენ. მომეტებული ნაწილი ამ საჩივრებისა როტშილდისა და სხვა ნავთის მწარმოებელთაგან არის შეტანილი და 100,000 მან. მეტს ჯარიმას ითხოვენ, რადგან დროზე არ მიიტანა ჩვენ მიერ ვაგზავნილი ნავთი დანიშნულს ადგილზეო. ეს საჩივრები ბაქოს ოლქის სასამართლომ უნდა გაარჩიოს.

*** ეხლახან პეტერბურგში კრება მოხდა საზადოსნო გამოფენის ექსპონენტებისა. ამ კრებაზე ტფილისის აბრეშუმის კეთების სადგურის უფროსმა შავროვმა თავისი მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად თუთის მოშენება კავკასიაში. შავროვის სიტყვით თუთიდგან კავკასიას წელიწადში 18 მილიონი მან. შემოსავალი აქვს, თუთის ხეებს უჭირავს 68 ათასი დღიური მიწა და იმის ნაყოფიდგან მშვენიერი 90 გრადუსიანი სპირტი გამოდის, თუ ხეირიანად გამოხდიანო.

*** სოფ. ტეზერი: იმ ძლიერმა დედა-მიწის ძვრამ, რომელიც ამ სამის წლის წინად მოხდა, დიდი ზარალი მისცა ს. ტეზერის გლეხობას: ჩინებული ღვთისმშობლის სახელზედ აშენებული ქვიტკირის ეკკლესია შეირყ-შეინძრა და შუაზედ გაიპო. ამის გამო რამდენისამე ხნით აღკრძალული იყო წირვა-ლოცვის შესრულება საყდარში. შეკეთება ხსენებულის ეკკლესიისა გამოუცდელს კალატოზს მი-

---

ლობთ სწორედ პოლ ბურჟეს უკანასკნელს რომანში: „Un coeur de femme“ (ერთის ქალის გული), გიუ-დე-მოპასანის რომანში: „Notre coeur“ (ჩვენი გული) და აგრეთვე ალბერტ დელპის რომანში: „Toutes les deux“ (ერთიცა და მეორე დედაკაციც).

ვგონებთ რომ ეს უცნაური წყარო როგორც რომანების წერისა მალე დაშრება, ასეთი მასალაც მალე შემოელევათ და მასთან ერთად მოესპობა თვისი მოკლე სიცოცხლე იმ თავ-თავექვე მიმავალთა და ძირს-დამავალთა მოძღვრებსაც. ასე იქნება სწორედ. ჯერ ეხლავე ვამჩნევთ ნიშნებს ახალის მოძღვრების გამოჩენისას, ახალის მიმართულების დაბადებისას. პარიჟში უკვე არსებობს მცირე წრე ახალგაზდა მწერლებისა, რომელნიც ამბობენ, რომ ჩვენა ვართ მაღლა ასვლის მოძღვრების კაცნიო და ჩვენი მოძღვრება „ზე-ამავალთა მოძღვრებაო“ (L'écoe noutante“). ეს ახალგაზდანი ძალიან შორს არიან უკვე სამარეში ფეხ-ჩადგმულის ნატურალიზმისაგან. შორს არიან აგრეთვე ბურჟესთანა და ძირს დამავალ რომანისტებისთანა მწერლებზე. მაგრამ პროგრამა მათი ჯერ კიდევ სრულიად ბუნდოვანია და ცხადი არ არის. აცხადებენ მხოლოდ, რომ ახალს იდეალებს ვეტანებითო, მაგრამ თვითონაც არ იციან, რა იდეალებია ის იდეალები. ამიტომ იმათ შესახებ ჯერ ძნელია ლაპარაკი. მათ შორის არ გამოჩენილა ჯერ არც ერთი, რომელსაც შესამჩნევი რამ ნაწერი დაებეჭდოს. ვგონებ, რომ ამ ახლებს დიდხანს მოუნდებათ ბრძოლა ბურჟესა და მის მიმდევრობისთანა მწერლების წინააღმდეგ. რათა? რათა და მათა, რომ ესენი ეძებენ და ჰპოულობენ კიდეც თავიანთ რომანებისათვის ახეთს ამბებს, რომლის კითხვა დიდად ეხალისება, მოსწონს და ართობს საზოგადოებას. და იცით მერე რა ართობს? მისტიციზმი, საიდუმლოებათა ძებნა, განდეგილობა. გიუ-დე მოპასანმა კიდეც დაიწყო ამ შეუძლებელ გზაზედ სიარული, როგორცა ვხედავთ ბოლოს დროს დაბეჭდილს იმის მოთხრობათა კრებულში „გამოუსადეგარი მშვენიერება“. ამ კრებულში ვხედავთ სხვათა შორის ისეთს კაცსაც, რომელსაც არავითარი გრძნობა არა აქვს, არა აქვს არც სურვილი ჩვეულებრივის კაცურის, ადამიანურის სიამოვნება-სიტკბოებისა, ისეთს კაცს, რომელსაც თვითონ წარმოუდგენია თავის გონებით სულ სხვა გვარი ქვეყანა, ქვეყანა ფანტაზიისა და მხოლოდ იქ ყოფნით ჰგრძნობს ბედნიერებას. ამასთანავე გადაგვარებულის კაცების ამბავია მოთხრობილი იმისავე მეორე ნაწერში: „ვინ იცის!“

არავინ მოიფიქრებდა ათის წლის წინად, რომ ნატურალიზმის ბოლო იქმნებოდა მისტიციზმი, ანუ როგორც პარიჟში ამბობენ, ოკულტიზმი. ახლა აღარც-კი უკვირთ ამისთანა ამბავი, რადგან ადამიანთა კრებული ხშირად ანებებს თავს ერთს უმწვერვალესობასა და მაშინვე მეორეს მოეჭიდება ხოლმე. დასავლეთის ერნიც, რომელნიც თვითონვე ამბობენ, რომ ჩვენი განათლებულნი რაღაც სულიერს ავადმყოფობაში არიანო, დიდის ხალისით ეტანებიან ახალის მისტიციზმის ამბებს. რათა? რათა და იმიტომ, რომ თვითონვე ეტანება, თვითონვე სწყურიან, ისეთი რამ იგრძნოს, რაც არ უგრძვნია, ისე ძლიერ იგრძნოს, რომ მთელი მისი ბუნება შეირყეს და აღელდეს.

ახალი თაობა მწერლებისა ამისთანა მოხუცებს დაცინვის ღიმილით უცქერის და ამბობს, რომ ნატურალიზმიცა და ყველა სხვა იზმები არის ლიტერატურა იმ თაობისა, რომელიც უკან-უკან მიდის, ილევა, ჰქრებაო. იმათ მაგიერ მოვდივართ ჩვენ და ჩვენვე, და არა ზოლას მომხრენი, ან კიდევ სხვა ვინმენი, გავაჩენთ და შევიღებთ ისეთს მტკიცე მწერლობასაო, რომელიც იქნება საჭირო შემდეგ თაობათათვისაო. ისინი ამბობენ, რომ ახალი იდეალები უნდა გავიჩინოთო, რომ მხოლოდ იდეალიზმით უნდა ვცოცხლობდეთ და გვედგას სულიო. ჯერ-ჯერობით-კი ეს იდეალები არსადა სჩანს და ცხოვრებასა და მწერლობაში ისევ ბურჟები, მოპასანები და სხვანი ბატონობენ.

გაეიხსენებ ერთხელ კიდევ სიტყვებს ტენისას და ვიტყვი, რომ ჩვენის დროების შესახებაც ტენი შემცდარია, რადგან ამ დროებასაც აქვს თავისი უმთავრესი ფერი და თვისება ლიტერატურაში, სახელდობრ: საყოველთაო წყურვილი იდეალებისა ზოგიერთებისათვის, ხოლო წყურვილი გონების ახალის სავარჯიშოსი, ახალის საკვებისა მეორეთათვის. მაგრამ რა საერთო სახელი დავარქვათ ყველა ამ სხვა-და-სხვა გვარ სურვილს, ამ სხვა-და-სხვა გვარ მისწრაფებას? ისევ შემდეგი თაობა თუ მოუძებნის ყოველს ამას სახელს, რაკი შორიდამ დაუწყებს ცქერასა და ეხლანდელსავით თვითონ არ იქნება იმ ცხოვრებაში ჩაყოლებული, რომლის უმთავრეს თვისებასაც გვინდა დავდოთ შესაფერი სახელი.

ა. ლ.

### გურგენაულის ბაბო

(შემდეგი*)

გურგენაული, ბაბოს დედა, შესანიშნავი დედაკაცი იყო. ბუნებით კეკლუცი, ზრდილობიანი, მუდამ სუფთად ჩაცმული, გონიერის თვალე-

* იხ. „ივერია“ № 223.

აწდევს, რომელმაც დანგრეულ-დარღვეული ადგილები გამოანგრია და სულ ახლად გამოაშენა თლილის ქვით. ამ კალატოზმავე დაიწყო ამ ეკკლესიის სამრეკლოს კეთება, რომელიც ეკკლესიის დასავლეთის მხრით შენდებოდა. სამრეკლოს აშენება გათავებული არ იყო, რომ წრეულს მეორედ იძრა მიწა და გადაკეთებული ეკკლესია ხელ-მეორედ გაირღვა და გასკდა. ეკკლესიის გაკეთებაში გლეხობამ გაიღო რვა ას რვა მანეთი და ეკკლესია-კი, როგორც ზემოდ ვსთქვით, მეორედ დაირღვა და ეხლა ვინ გადააკეთებს, ეს არავინ იცის.

*** ბოჟიპრომისლი: 13 ოქტომბერს ნარიშენის ვატაგაზედ, რომელიც სძევს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ ბოჟიპრომისლის გვერდით და უჭირავს ნაზარბეგოვსა და მის ამხანაგობას, მოხდა საშინელი უბედურობა, დაირჩო მტკვარში 20 სპარსელი თათარი და ერთი ცხენი. გარემოება ამ უბედურობისა ასეთი იყო: შაბათს, შუადღის უკან, მოუვიდნენ ნაზარბეგოვს სპარსეთიდგან მუშა ხალხი—ამშარები, როგორც აქ ეძახიან. რადგან ამშარები იყვნენ გალმა, ამისათვის მათ გამოსაყვანად გაიტანეს ბორანი, გაკეთებული ორის პატარა ნავისაგან, ზედ ფიცრებით გალასტული. ამ ბორანზედ დალაგდნენ ამშარები თავიანთი ავლადიდებითა და ზედვე შეაყენეს ორი ცხენი. შუა წყალში რომ მოვიდნენ, ერთმა მხარემ დასძლია და ბორანი აყირავდა და ამოდენა ხალხი შიგ შუა მტკვარში ჩაცვივდა. შეიქნა ყვირილი, ხელების ქნევა, თოკების სროლა, ნავებით მოშველება, მაგრამ სულ ამაო გამოდგა, გადარჩა ათიოდე კაცი. 15 დამრჩვალის კაცის გვამი უკვე იპოვეს, დანარჩენი 5 კაცი ჯერ არ გამოურიყია. დამრჩვალთა გვამები უკვე მიაბარეს მიწას, გულ-საკლავად დასტიროდნენ უდროვოდ წუთი სოფელს გამოსალმებულებს ამხანაგები და თანამოძმენი.

*** იქიდამვე: წელს აქეთ ძლიერ კარგი მოსავალი იყო პურისა. ნახნავიც ბლომად იყო და პურიც ბლომად მოვიდა, კალოობა ეხლახან გათავდა, პური ფასობს ხალვარი 25 ფუთი 13—15 მანეთამდე, ქერი—5—6 მანეთამდე.

*** სომხური ჟურნალ-გაზეთი სულ 34 იბეჭდება ყველა სახელმწიფოში. ყველაზე მომეტებული სომხური ჟურნალ-გაზეთი ოსმალეთში გამოდის და შემდეგ რუსეთში. ავსტრიასა, იტალიასა, საფრანგეთსა და ამერიკაში თითო სომხური ჟურნალ-გაზეთი იბეჭდება; ოსმალეთში სომხური ჟურნალ-გაზეთი 19-ია: 18 იბეჭდება თვით კონსტანტინოპოლში და ერთიც სმირნაში. რუსეთის იმპერიაში სომხური ჟურნალ-გაზეთი სულ 8 იბეჭდება. ორი გაზეთი მშაკი და ნორდარი, სამი ყოველ თთვიური ჟურნალი: „მურჯ“, „ალბიურ“ და „თარაზ“ და ერთიც ყოველ კვირეული სურათიანი ჟურნალი „არძაგანქ“ იბეჭდება ტფილისში, სადაცა სცხოვრებს მომეტებული ნაწილი განათლებულ სომხებისა. ვენაში იბეჭდება ყოველ თთვიური ჟურნალი „ანტეს ამსარია,“ ვენეციაში—ჟურნალი „ბაზმავეპ“, მარსელში ლიბერალური გაზეთი „არმენია“, რომელიც კვირაში ორჯელ იბეჭდება; ამერიკის ქალაქ ჩერზესიტიში—„სურანდაკ“. ლონდონში იბეჭდება სამი სომხური გაზეთი „ჰაიასტან“ სომხურსა და ფრანგულს ენაზე, სომეხთა მამულის მოყვარე საზოგადოების გაზეთი „ინჩაკ“ და „L'Armenie“, რომელიც სადიპლომატიო გაზეთად ითვლება და ფრანგულს ენაზე იბეჭდება. („Нов. Вр.“)

*** ტფილისის თოფხანიდგან 60 „ბერდანის“ თოფი მისცეს ტფილისის პირველს კლ. გიმნაზიას („Т. Л.“)

*** 20 ოქტომბერს, პოლიციის მეექვსე ნაწილში აბანოს ქუჩაზე ქერბალაი აბდურახიმ-ოღლი წაეჩხუბა ალი-ქერბალაი ნასირ-ოღლის და ბებუთით დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე შეიპყრეს.

## მალორუსიული წარმოდგენა

წარსულს ხუთშაბათს ქ. ზარნიცკაიას ბენეფისში კრაპივნიცკის მალორუსიულმა დასმა წარმოადგინა ოთხმოქმედებიანი დრამატიული სცენები შევჩენკოსა, „Пидъ ивана купала“. პიესაში ნათლად არის დახატული ერთი ძველის-ძველი ხალხური ჩვეულება. სოფლის ახალგაზდობა, გოგო-ბიჭები, დართული მინდვრის ყვავილებისაგან დაწნულის გვირგვინებით, ქვეილ-ხივილით ამზადებენ ბერიკას, (ივანე კუპალა) ჯოხზე ჩამოაცმენ კაცის ტანსაცმელს, სახეს მოუმურავენ ნახშირით. ასეთ ბერიკას გარშემო გააჩენენ ცეცხლს, დაიბმენ ნამდვილს ჩვენებურს ფერხულს, გარს უვლიან სიმღერებით, ბოლოს ცეცხლზე გადახტებიან ყველანი და ბერიკას წყალში გადუძახებენ. მალოროსებს ძლიან უყვართ ეს თავისი ჩვეულება და ყოველს წელიწადს დიდის ამბით დღესასწაულობენ.

ფერხულში მონაწილეობას იღებს ლამაზი, მთელი სოფლის თვალი, პრისია (ქ. ზარნიცკაია) მისი კასკასი და უდარდელი ხარხარი, კუნაპეტიეთ შავი თვალები ტანში ჟრუანტელს ჰგვრის სოფლის საქორწილო ბიჭებს. ყველა ცდილობს როგორმე მოინადიროს პრისიას გული, მაგრამ ტყუილად. პრისიას გული დაიმონავა მხოლოდ ერთმა საუკეთესო ვაჟკაცმა, კარპომ. (ბ-ნი სუსლოვი). კარპო დარიმანდი ახალგაზდაა. სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც მოქეიფესა და ქალების უზომო მოსიყვარულეს. ერთი ამ გვარი საყვარელთაგანი პიესაშიც არის გამოყვანილი, ხრისტია, (ქ. ზატირკევიჩი) რომელსაც გაგიჟებით უყვარს ახალგაზდა კარპო. სოფელში ხრისტიას ცუდი სახელი აქვს დავარდნილი, კუდიანს ეძახიან, იმის ჯადო-ქარებს ძნელად თუ რომელიმე ყმაწვილი კაცი გაუძლებს. სოფლის გოგოები შიშითა და კანკალით ახსენებენ ხრისტიას სახელს.

ეს გარემოება საშინლად აწუხებს პრისიას. თავის შიშსა, მწუხარებასა და დარდს კარპოს განუცხადებს. კარპო არხეინადაა, თვით ეშმაკებისაც არ ეშინიან, არამც თუ ვიღაც ხრისტიასი. ტრფიალების ნეტარებას ნუ მოიშხამავთ ხრისტიას მოგონებით, ამშვიდებს აღელვებულს ქალს კარპო, მაგრამ ხრისტიამ მოუყარაულა შეყვარებულებს, მოისმინა მათი ღუღუნი და მძულვარებით აივსო. იქვე გადასწყვიტა გულში თავის მეტოქის მოკვლა და სისრულეშიც მოიყვანა განზრახვა. ხრისტიამ შეიტყუა ქოხში პრისია და ფერდში დანა დასცა. მომაკვდავი პრისია ბურბუშელასავით გამოიტაცა გამწარებულმა კარპომ და გაშმაგებით დაეკონა თავის სატრფოს. პრისიამ მკვლელი ავაზაკი დაასახელა. მწუხარებით გადარეული დაეწია გაქცეულს ხრისტიასა და წუთი სოფელს გამოათხოვა.

დრამამ ჩვეულებრივ მშვენივრად ჩაიარა. არტისტებს ისე კარგად აქვთ ყველა პიესები დასწავლული, რომ მაყურებელი უკეთესს ველარ ინატრებს. მობენეფისეს ქ. ზარნიცკაიას მიართვეს მშვენიერი თაიგული, ლენტით შემოხვეული, შესაფერის ზედწარწერით.

წარმოდგენას შემდეგ ქართველმა არტისტებმა დასის უმთავრეს წარმომადგენლებს იქვე თეატრის ფოიეში ვახშამი გაუმართეს. ვახშამს დაესწრო, ქართველს არტისტებს გარდა, ოციოდე ქართველი კაცი. ჩვენებურმა გულ-უხვობამა და სიმხიარულემ აქაც თავი იჩინა. მალოროსები აღტაცებაში მოვიდნენ დუდუკით, ლეკურითა და მრავალჟამიერის სიმღერით. რამდენმამე ქართველმა შესაფერი სიტყვა უთხრა დასის უმთავრეს წარმომადგენელს ბ-ნ კრაპივნიცკის. ქეიფმა და ლხინმა დიდხანს გასტანა.

ა. ფრონელი

## რუსეთი

ამბობენ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო აპირობს, ჯილდო დაუნიშნოს იმ კაცებს, რომელნიც გლეხ-კაცობაში დატრიალდებიან და უკეთეს ბალახეულობის თესვას ასწავლიან.

— სამკურნალო დეპარტამენტი აპირობს, ცალკე კომისია შეადგინოს და გამოაკვლევინოს მიზეზები იმ გარემოებისა, რომ ვისლის მხარეში ხალხი ძლიერ დაბალი ტანისა გამოდის და ამის გამო სამხედრო ბეგარისთვის უვარგისია. ამ საგნის შესახებ პეტერბურგის სასტატისტიკო კომიტეტმა ცნობები შეკრიბა და აღმოჩნდა, რომ ვისლის მხარეში მართლა ყველაზე მომეტებული დაბალის ტანისა და ავადმყოფი და მახინჯი ხალხი ყოფილა, რომელიც სამხედრო ბეგარაზე გასაყვანად არ ვარგა.

— უწმინდესმა სინოდმა მიუწერა ეპარქიის მღვდელ-მთავრებს, რომ მესამე ცოლის შემრთველებს ეპიტიმია მიუსაჯეთ ხოლმე 3—5 წლამდე იმის და მიხედვით, თუ რა ხნისაა სასიძო და ან რამდენად აიძულებს შინაური გარემოება მესამე ცოლის შერთვას. თუ ქვრივი სასიძო 60 წლისაზე დიდია და მეორე ცოლს ირთავს, იმასაც უნდა ორის წლით მიესაჯოს ეპიტიმია.

— ამ დღეებში მთავრობამ დაამტკიცა წესდება „ექიმ ქალთა საურთიერთო შემწეობის საზოგადოებისა.“

— ხალხის ჯანმრთელობის მფარველი საზოგადოება აპირობს, გამართოს რუსეთის საგიგიენო გამოფენა. ამისათვის კომისიაც აირჩა და მზადებას შეუდგა.

— გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ სამსახურის გამო რკინის გზით მოგზაურს პოლიციის მოხელეებს ვერსზე $^3/_4$ კაპ. გამოერთვას ხოლმე, სახელმწიფო გადასახადს გარდა.

— ამ დღეებში პეტერბურგის ერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია ერთის არტისტის საქმე, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ ქუჩა-ქუჩა დადიოდა და მათხოვრობდაო. საწყალი არტისტი დაბერებულა, თავი ველარსად ვერ გაუტანია და შემდეგ ლუკმა პურის სათხოვნელად აქა-იქ დადიოდა თურმე მოწყალეობის სათხოვნელად. თავისი ხელობა ისე ჰყვარებია, რომ ქუჩაში უგრიმოდ არ გამოდიოდა. ხან ბრმად გაკეთდებოდა, ხან ავადმყოფად, და ხან სხვა ნაირ სნეულად და ისე მიდიოდა სათხოვნელად. მოსამართლემ დამნაშავედ იცნო ეს უბედური არტისტი და ორის კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა. მშვენიერი დაფასებაა ხელოვნებისაო, დაცინვით ამბობს ამ ამბის გამო გაზეთი „День“.

## გასართობა

მოლა მასრაძინა.

მოლას კიდეც გლახამ კარგი დაურახუნა.

---

ბითა და ტკბილის გულით თითქო ყველას უნდა ჰყვარებოდა სოფელში, მაგრამ სიყვარულის მაგიერად ყველა პირს არიდებდა, ტუჩის აწევით გვერდს უქცევდა. მეტადრე გუგულის-ქედელი დედაკაცები ადუშფოთებლივ არ ახსენებდნენ იმის სახელს.

გურგენაული ამ სოფლის ერთის მებატონის მოურავის ცოლი იყო, ლამაზი დედაკაცი და, რადგანაც მოურავს ბატონი შორად ეწვეოდა ხოლმე, სოფელში გურგენაულს სახელი გაუტყდა. მას აქეთ დიდმა ხანმა გაიარა, გურგენაული თხუთმეტი წელიწადია, რაც დაქვრივდა, ბატონის წყალობაც დიდი ხანია მოაკლდა, მაგრამ სოფელმა ამის წარსული არ დაივიწყა და სამუდამოდ ზურგი შეაქცია.

ამ შემთხვევამ გურგენაული ნელა-ნელა შესცვალა: ამის მხიარული პირისახე მოიჭმუხნა, შავი ჟღუნა თვალები გამოუღამდა და სუქანი, ეშხით სავსე ტუჩები მაგრა მოეკუმა.

სოფელმა ეს ადამიანი და ამან სოფელი სიკვდილამდე უარ-ჰყვეს.

გურგენაულს დარჩა ორი შვილი: კარგა მოზდილი ბიჭი და სამის წლის გოგო ბაბო; საზრდო-საცხოვრებელი იმოდენა ჰქონდა, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო.

გურგენაულის სახლი ქვემო უბანში იყო, სოფლის განაპირას. თთვე გავიდოდა რომ მეზობელი გურგენაულს თვალით ვერ დაინახავდა, სოფლის არც ჭირში და არც ლხინში არ იღებდა მონაწილეობას. მარტოდ-მარტო თავისთვის ჩუმად შრომობდა და თავის ობლებს ასაზრდოებდა. შვილებიც გურგენაულმა თავისებურად განმარტოებით გამოზარდა; ბავშვებში თამაშობისა და ლაზღანდარობის ნებას არ აძლევდა. იმისი ნუგეში იყო დაუღალავი შრომა და ამხანაგი—განუყრელი ჩიბუხი. მე პატარაობისას ბევრჯელ სხვა გოგო-ბიჭებთან ერთად ჩამიხედნია გურგენაულის ეზოში. შუა ცეცხლთან კერაზედ ცალ მკლავ დაბჯენილი გურგენაული და კვირევებით ცეცხლს შესცქეროდა და დრო-გამოშვებით ნელ-ნელა გააბოლებდა პატარა ხის ჩიბუხს. მშვენიერი იყო ამისი მოღრუბლული, ფიქრითა და აზრით სავსე პირისახე და რაღაც პატივისცემას იწვევდა.

დედის გვერდით შვილები ჩუმად ნაცარში თამაშობდნენ და თითქო ეკრძალებოდათ რითიმე შეეწყვეტათ დედის შავი ფიქრები.

აი დღესაც, განა ამის სახლს ეტყობა, რომ აქ ნიშნობა „გაბედნიერებაა“, როგორც ყოველ დედას ჰგონია, როცა შვილს საკუთარს სახლსა და ბინას უჩენს? ამის კერაზედ, ჩვეულებრივ, ორი მუგუზალი ჩუმად იფერფლება, შუა ბოძის რაფაზედ, ჩვეულებრივ პატარა კვარის ნაჭერი ბჟუტავს და ჩვეულებრივი სიჩუმე და სიმყუდროვეა. კერასთან ოხიანთ თინა და გურგენაული მამაკაცებივით ჩიბუხს ეწევიან და ათასში ერთხელ სიტყვას გადაუგდებენ ერთმანეთს. კერის კარგა მოშორებით, თაროს ახლო, პატარა ხალიჩაზედ, ძლიერ ახლო ერთმანეთზე, ბაბო და ჯიბო მოკეცილნი სხედან. ჯიბოს სულ ხელი ხელში უჭირავს და ერთმანეთს აღტაცებით უცქერიან; ბაბო ხან მორცხობით თავს დაბლა ჰხრის, მაგრამ ხელს-კი ჯიბოს გახურებულ ხელიდგან არ ართმევს.

ვინღა იცნობს ეხლა ბაბოს! ბაბოს, მუდამ ჟამს მოხრუშულს, გულ ჩათხრობილს! ბაბო სულ გამოცვლილია; იმის პირისახეზედ სრული ბედნიერებაა გადაშლილი; იმის უსიტყვო ბაგე ფრიად მეტყველია; იმისი მოჰცინარი თვალები გაუთავებელის, უსაზღვრო სიყვარულის მორევია!

ჯიბო ხომ თრთის ბედნიერებითა და მზად არის თავისი მძლავრი მკლავები მოჰხვიოს და გულ-მკერდზე მიიყლიტოს თავისი ეშხის ალით ალგზნებული მეზობელი.

რა რიგად შეჰფერებიან ერთმანეთს! რა მამაცი და ლაზათიანია დევის მსგავსი ჯიბო და რა კეკლუცობით სავსეა პირ-მოღიმარი ბაბო!

— განა ჯიბო ირთავს ბაბოს? ჩუმად წაუტუტუნე ჩემ ამხანაგს.

— არა, გეთაყვანე, მაქსიმესთვის ნიშნავენ. ჯიბო უნცროსია და უფროსზე ადრე ცოლს როგორ შეირთავს!

— მაქსიმესთვის!? ეგ შეუძლებელია, შენ უთუოდ სცდები, ჩემო მარო, ვერ ჰხედავ ბაბოს და ჯიბოს, განა ესენი ერთმანეთის სატრფონი არ არიან?

— დედა არ მომიკვდეს, არა ვსტყუი! ორი წელიწადიც არის მაქსიმე ბაბოზეა გადაკიდებული და მხოლოდ მისატანზე ვერა რიგდებოდნენ; ეხლა თურმე დაჰყაბულდა გურგენაული ათ თუმანზედ და აი ნიშანიც მოუტანია.

— თითონ მაქსიმე რატო არ უზის საცოლეს გვერდით, ჯიბო აქ რა შუაშია?

— ჩვენში აგრეა, მაკრინეჯან, საქმრო იშვიათად დაინახავს ქალსა!—მერე მაქსიმე ხომ საშინელი მორცხვი და სხვა ნაირი ქანგიანი კაცია, მოსაკითხზე რომ ნახოს ბაბო, ისიც დიდი ამბავი იქნება იმისაგან.

— თითქო გადაკიდებულიაო, ამბობდი. უყვარს და ნახვისა-კი ეშინიან? ახე ეტუტუნებოდით მე და ჩემი ამხანაგები გურგენაულის ბანზედ; გურგენაულის სახლში-კი მყუდროება და სიყვარული შეურყევლად ბატონობდა.

ეკ. გაბაშვილი

(შემდეგი იქნება)

— რა გინდაო? დაეკითხა მოლა მეორე სართულის ფანჯრიდგან.

— გთხოვ, ძირს ჩამოხვიდე, კარებში გამიღო და მომისმინოვო, უთხრა გლახამ.

მოლა საჩქაროდ ჩამოვიდა, რომ გაეგო, რა საქმე უნდა ჰქონდეს ამ კაცსაო.

— გლახა ვარ და მიწყალობე რამეო!

— ამომყევიო, უბრძანა მოლამ და მეორე სართულში ავიდა. გლახაც თან აჰყვა. აქ მასრადიმან ტახტზედ მოიკეცა და მშიმედ გლახას ეუბნება:

— რაო, შენ მოწყალებასა მთხოვ? ღმერთმა მოგცეს, არა მაქვს-რა.

— რატომ ქვემოდ არ მომეცი ეგეთი პასუხი და აქ რაზედ ამომიყვანეო? ჰკითხა წყენით გლახამ.

— შენ-კი რატომ არ მითხარი წეღანვე, რომ გლახა იყავი, და ქვემოდ რაზედ ჩამომიყვანეო? უპასუხა მოლამ.

**

მოლასთან მივიდა ვიღაც დავრიში და დიდი სასიამოვნო საუბარი გაუწია. მოლას ეს ძალიან მოეწონა.

— ხვალ მოდი ჩემთან და ათს ოქროს გაჩუქებო, უთხრა მოლამ. გახარებული დავრიში მეორე დილას ეწვია.

— რა გნებავსო? ჰკითხა მასრადინამ.

— მე მოვედი იმ ათის ოქროს მისაღებად, რომლის ჩუქებასაც გუშინ დამპირდი.

— მერე რისთვის დაგპირდი ეგეთ ჯილდოს?

— იმიტომ, რომ ჩემის მასლაათით გასიამოვნე.

— მერე რა ვუყოთ! შენ მასიამოვნე შენის მასლაათით, მე გასიამოვნე ჩემის დაპირებით. მაშ ქვითნი ვართო..,

**

მოლა მოვიდა ქალაქ დიარბექირში, რომელიც განთქმულია თავისის დიდრონის საზამთროებით. დაინახა მასრადინამ ბაზარში უშველებელი საზამთროები, ეწვა აიღო, ვითომ საზამთრო-კი უნდა იყოსო, და დაეკითხა მეხილეს:

— ეგ რა არის?

— დიდი კვერცხია, აქედგან ვირი გამოიჩეკებაო, უპასუხა დაცინვით მეხილემ.

მოლამ დაიჯერა და იფიქრა: ეს კარგი შემთხვევაა, იაფ ფასად ვიყიდი ვირსაო. იყიდა საზამთრო და გაუდგა სახლის გზას, ქალაქ აკ-შეირში. ქალაქამდე არ იყო მისული, რომ ბაღებთან საზამთრო დაუვარდა, ქვას მოეჩხვდა და გასკდა. ამავე დროს ქვის ქვემოდგან კურდღელი გამოვარდა და ბაღში შევარდა. „დაიცადით, ჩემი ვირიაო“, დაიძახა მოლამ და შეჰყვა ბაღში. აქ თავისს ცოლს შეჰხვდა და ჰკითხა გაჩქარებით:

— ჩემი ვირი ხომ არ გინახავს, ესეს არის შემოვარდა აქ?

— ახ, რა კარგი გიქნია, რომ ვირი გიყიდნია; აბანოში ვაპირებდი წასვლას და დროზედ მომესწრო: ესლა ვირზედ შევჯდები და წავალო, უპასუხა ცოლმა, რაკი დარწმუნდა, რომ მოლას მართლაც-და ვირი უყიდნიაო.

— აი, შე შეუბრალებელო, შენა, შენ გინდა ჩემს ჩოჩორს წელი მოვსწყვიტოო! დაუყვირა მოლამ და დაუწყო ცემა. გავარდა ისევ ქუჩაზედ, ვიღაც უცნობს შეჰხვდა და ჰკითხა:

— ჩემი ვირი ხომ არ გინახავსო?

— როგორ არაო, უპასუხა მან: შენი ვირი აგერ სასამართლოში ჰზის და ხალხს ასამართლებსო.

მოლამ აიღო ერთი იღლია თივა, წავიდა სასამართლოში და ჰნახა რომ მოსამართლე მართლაც საქმეებს არჩევდა:

— აი შე უსინდისო პირუტყვო, შენაო, დაუძახა მოლამ: მე ქუჩა-ქუჩა დავრბივარ ამ მზის გულზედ და გამვლელსა და გამომვლელს ვეკითხებოდი: სად არის ჩემი ვირი-მეთქი, შენ-კი ამ ჩრდილსა და გრილოში დამჯდარხარ არხეინად და სხვის საქმეებს უნდებიო...

ამ სიტყვებისთვის კარგა ხანს მოუხდა მოლას ვირის აბანოში ყოფნა.

## დეპეშები

19 ოქტომბერი

პეტერბურგი. სახელმწიფო ქონებათა მინისტრი დაბრუნდა პეტერბურგშივე.

გაზეთები იუწყებიან, რომ უწმ. სინოდთან დაწესებულია კომისია იმის პროექტის შესამუშავებლად, თუ რა გზით ვებრძოლოთ სიმთვრალესა და მათხოვრობის გამრავლებასაო.

სახელმწიფო საბჭოსათვის წარუდგენიათ განსახილველად იმის მოხსენება, რომ კომიტეტი დავაარსოთ გარეშე ვაჭრობის სათვალყურებლადაო.

ბელგრადი. მილანი და მთავრობა ერთმანეთში მორიგდნენ: მილანმა წერილობითი პირობა მისცა, რომ საპოლიტიკო საქმეებში არ გავერევიო.

20 ოქტომბერი

უზუნ-ადა. მატყლის მართველმა და მატყლის მომყვანმა ფრანსიელ ფრანგობამ ასი ათასი ფუთი შუა აზიის მატყლი იყიდა და ყარაყულისახანოში და პენდეს ოაზისში, საფრანგეთის რუსეთის და ესპანიის სხვა-და-სხვა გვარ შერეულ ფარების მოშენებას აპირებს წვრილბეწვა მატყლისათვის.

ვარშავა. მთავრობამ ბეჯითი ღონისძიება მიიღო ბრაზილიაში გადასახლების მსურველთა წინააღმდეგი. ამ ახლო ხანებში ასმა კაცმა მოახერხა გადასვლა.

მოსკოვი. სამოსამართლო პალატამ განუჩინა პოლიციელს გოჟელლოს ტობოლის გუბერნიაში გადასახლება და სათადარიგო მწერალს ნევიადოვსკის სამი წლის ყოფნა სამხედრო როტაში დაწყლურება-გალახვისათვის ნაფიც ვექილის კოპოლევისა და სტუდენტ ნიკოლაევსკისა.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ოქტომ.

| | მყიდველნი ხაო. | გამყიდველნი ხაო. | გაყიდულნი ხაო. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 60 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 132 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 230 |
| —მეორისა . . . . | 211 3/4 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 214 |
| გირავნობის ფურცელნი ტ. ილიისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერიჩში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მიხეილ ჯავახოვისაგან 1 მან. 20 კაპ. და წიგნების გაგზავნას თხოულობს. ხოლო ადრესი-კი არ არის ნაჩვენები, თუ სად უნდა გაეგზავნოს წიგნები. ამის გამო მაღაზია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნს მიხეილ ჯავახოვს, ადრესი აცნობოს. (2—2)

ტფილისის ფერიცვალების ანუ დარიის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა კესარიოსმა გაჰმართა სამრევლო სკოლა ღარიბ ყმაწვილთათვის სასწავლებლად იმავე მონასტრის ეზოში და ვისაც ჰსურთ, მიიყვანოს ყმაწვილი ამ სასწავლებელში, მიჰმართონ თხოვნით არქიმანდრიტს კესარიოზს (ამავ მონასტერში). მასწავლებელიც უკვე დანიშნულია. (3—2)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზ ამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება რასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

## მ. მურტაზი დაბრუნდა კონჯლორიდგან და

კვლავ აძლევს გაკვეთილებს ინგლისურის ენისას, ასწავლის ამ ენაზედ კარგად ლაპარაკს და იმ გვარად გამოთქმას, როგორც მიღებულია ოქსფორდსა და კემბრიჯში. ცოტახანს შეეძლება რამდენისამე საათით დღეში გუბერნიორის თანამდებობის აღსრულებაც.

მსურველმა მიჰმართოს: ან დ. ყორღანოვს, გუდოვიჩის ქუჩაზედ, ავინოვის სადგომში და ან: ზუბალოვის სახლების პირდაპირ ეზოში (სადაც ბროდსკის მაღაზიაა), ერევნის მოედანზედ. სწავლა შეიძლება თვით მასწავლებლის სახლშიაც და აგრეთვე მოსწავლეებთანაც. (3—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

### დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ ხამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზის საქმოდ:

### ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—46)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

### „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Доз. цен. Тифлисъ, 20-го Октября 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე